საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„თავისუფალი საქართველოს ხმა“

„თავისუფალი საქართველოს ხმა“ („The Voice of Free Georgia"), ინგლისურენოვანი ქართული ემიგრანტული ჟურნალი. გამოდიოდა ნიუ-იორკში (აშშ) 1953–57 წლებში ა. ცომაიას რედაქტორობით. სულ გამოვიდა ამ ჟურნალის რვა ნომერი. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: ლ. დუმბაძე, ა. ჩხენკელი, დ. სინჯიკაშვილი, გ. ზალდასტანიშვილი და სხვ. გამოქვეყნებული *პოლიტ.*, მეცნ., პუბლიცისტური ხასიათის წერილები ეხებოდა საქართველოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ჟურნალის პუბლიკაციებიდან მნიშვნელოვანია ა. ცომაიას მიერ ინგლ. ენაზე თარგმნილი (1953) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 კონსტიტუცია.

თ. დოლიძე